

სოფიო შამანიდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველო

პენელოპეს სახე ახალ ბერძნულ ლიტერატურაში

საკვანძო სიტყვები: ანტიკური ლიტერატურა, ოდისეა, ანტიკური ტრადიციის აღქმა თანამედროვე ლიტერატურაში, პენელოპე

ჰომეროსის გმირებიდან მკითხველისთვის ერთ-ერთი ყველაზე სათნო და საყვარელი პერსონაჟი უდაოდ პენელოპეა – პენელოპე, რომელიც გახდა სიმბოლო ერთგული ცოლისა და სანიმუშო დედისა; ქალი, რომელიც 20 წელი ერთგულად ელოდა ქმარს; ქალი, რომელმაც, ფაქტობრივად, მარტომ გაზარდა შვილი; ქალი, რომელმაც შეინახა კერის სიწმინდე. თუმცა, უკვე ანტიკურობაში პენელოპეს სახის არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს ვხვდებით: ანტიკური წყაროები ხან პანის დედად მოიხსენიებენ პენელოპეს, ხან 112-ვე სასიძოსთან სარეცელის გამზიარებელ ქალად; მრავალგვარი ახსნა ეძებნება ოდისევსის მიერ ცოლისთვის გამოცდის მოწყობის მიზეზს, ტელემაქოსის ეჭვიანობას, ასევე, პენელოპეს სიზმრის ინტერპრეტაციას.¹ მეორე მხრივ, ჰომეროსს არც არსად უმტკიცებია, რომ პენელოპე ქმრის

¹ ცანავა 2011, 167-205.

ერთგულია. ჰომეროსი პენელოპესთვის ყველაზე ხშირად ეპითეტს „περίφρων“ იყენებს, რაც „ჭკვიანს“, „გონიერს“ ნიშნავს და არცერთ შემთხვევაში „ერთგულს“.² გონიერება კი სულაც არ გამოირიცხავს ღალატს ან ღალატის დაშვებას. მხოლოდ და მხოლოდ ერთხელ გამოიყენება *ოდისეაში* პენელოპესთან მიმართებაში ეპითეტი „ერთგული“ – „πιστή“ და ისიც გამწარებული (და უკვე მკვდარი) აგამემნონის მიერ: ჰადესში ჩასულ ოდისევსს ცოლის მიერ მოკლული აგამემნონი შესჩივლებს, შენ რა გენადვლება, ერთგული ცოლი შინ გელოდებო (Hom. *Od.* XI, 441-456).

თანამედროვე ლიტერატურაში პენელოპეს პირველი და ყველაზე რადიკალური ინტერპრეტაცია, ალბათ, ჯეიმს ჯოისის ეკუთვნის („ულისე“, 1922) – მისი მოლი ბლუმი ერთგული (ან გონიერი) პენელოპეს სრული ანტიპოდი.³ ჯოისმა დაუდო, სავარაუდოდ, პენელოპეს ამგვარ ინტერპრეტაციას საფუძველი დასავლურ ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ ჯოისის მიერ ინტერპრეტირებული პენელოპე ძალზე მიმზიდველი გახდა მწერლებისთვის. ცხადია, ეს მეტამორფოზა, უპირველეს ყოვლისა, ეპოქის გამოძახილი იყო.⁴

მაგრამ, დავუბრუნდეთ ახალ ბერძნულ ლიტერატურას.⁵ თანამედროვე ბერძენი მწერლები ბევრად უფრო სენსიტიურები

² <https://logeion.uchicago.edu/περίφρων>

პენელოპეს ერთგული ცოლის სტატუსის გამყარებას *ოდისეას* თარგმანებმაც შეუწყო ხელი, სადაც ხშირად ტერმინი *περίφρων* სწორედ „ერთგულად“ არის ნათარგმნი. ეს შეცდომა თანამედროვე თარგმანებში გამოსწორდა, იხ. *Καστριδάκη* 2003.

³ ჯოისამდე სხვა მწერლებიც წერდნენ პენელოპეზე, მაგრამ მათთან პენელოპე მსუბუქი ფლირტი შემოიფარგლებოდა, მაგალითად, სამუელ ბატლერი (Samuel Butler, *The Authoress of the Odyssey*, 1897), ოსკარ უალიდი (The Women of Homer, 1876).

⁴ პენელოპეს სახის დასავლურ ვარიაციებზე დეტალურად წერს ანგელა კასტრინაკი: *Καστριδάκη* 2003.

⁵ პენელოპეს სახის ინტერპრეტაციას ომის შემდგომდროინელ ბერძნულ ლიტერატურაში განიხილავს თავის სტატიამი *Χεϊλαჩი* 2022, 240-251.

აღმოჩნდნენ პენელოპეს მიმართ, ვიდრე მათი ევროპელი კოლეგები, თუმცა, პენელოპეს სახის ყოველი მომღვეწო ინტერპრეტაცია სულ უფრო თამამია და სულ უფრო შორდება მის პირველსახეს (პროტოტიპს). იმდენი ნაწარმოები ეძღვნება ახალ ბერძნულ ლიტერატურაში პენელოპეს, რომ ცალკე წიგნის დაწერა შეიძლება, ამიტომ აქ იმ ტექსტებზე გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც პერსონაჟის დროში ტრანსფორმაციის პროცესს გვიჩვენებს. ცხადია, ყველა შემთხვევაში, პენელოპე განხილულია ოდისევსთან ერთად – ანუ, მისი საქციელის შეფასება მხოლოდ ოდისევსთან მიმართებაში ხდება (იშვიათად ტელემაქოსთან).⁶ პენელოპე ოდისევსის გარეშე თანამედროვე ბერძნულ ლიტერატურაში, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ერთ-ერთი პირველი, ვინც პენელოპეზე დაწერს, კოსტის პალამასია. პალამასს ისე უყვარდა ჰომეროსის ეს პერსონაჟი, რომ საკუთარ შვილსაც კი დაარქვა მისი სახელი. პალამასს პენელოპეს სახე რამდენიმე ლექსში აქვს გამოყენებული. აქ ორიოდეს მოვიყვან: ლექსში *პენელოპე*⁷ პოეტის მიზანია, წარმოაჩინოს პენელოპეს სახით ერთგული ცოლის ხატი, რომელიც მზად არის უსასრულოდ ელოდოს თავის მეგობარს, ხოლო ჯილდო ამგვარი ქალისა არის ქმარი, რომელიც აუცილებლად დაბრუნდება. პენელოპეს მოლოდინის საჩვენებლად პოეტი იფარგლება მხოლოდ რამდენიმე შტრიხით. მას „ომებმა და უცხო მხარემ წაართვეს“ მეგობარი, გარშემო მტრები ჰყავს შემოხვეული, მაგრამ იგი მაინც მხოლოდ თავის მეგობარს ელოდება და საქსოვ დაზგასთან „ქსოვს თავის სიყვარულს“. ამის შემდეგ პალამასი გადადის

⁶ ცალკე საკითხია ტელემაქოსის და პენელოპეს ურთიერთობა, რაც ასე საინტერესოდ აქვს გადმოცემული ჰომეროსს და რაც დღესაც აქტუალურია თინეიჯერი ბიჭის დედასთან ურთიერთობის გასააზრებლად. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ურთიერთობების, გრძნობების, დაფარული თუ ღია ვნებების, სისუსტის თუ სიძლიერის არც ერთი ვარიანტი არ გამორჩენია ჰომეროსს და ამ მხრივაც უსაზღვრო მასალას გვაძლევს ინტერპრეტაციისთვის.

⁷ Παλαμάς 1963, 73.

პენელოპეს „მეგობარზე“, რომლის სახელსაც არ ახსენებს, თუმცა ხაზს უსვამს მის სიღიადეს. იმ დაბრკოლებებს შორის, რომლებიც ცოლთან შეხვედრაში უშლიან ხელს, ასახელებს მხოლოდ სკილას და სირენებს, მაგრამ არ ახსენებს არც ერთ ქალს,⁸ რომელიც პენელოპეს მეგობარს სახლში მიმავალ გზაზე შეხვდა და დასძინს, რომ ვერაფერი შეაჩერებს პენელოპეს მეუღლეს, დაბრუნდეს ბოლოს და ბოლოს მასთან. ანუ, აქ ერთგვარი მცდელობაა იდეალური წყვილის წარმოჩენისა, რის გამოც განზრახ უგულვებელყოფილია რამდენიმე „დაბრკოლება“, რომელიც სამშობლოში მიმავალ ოდისევსს გზად ეღობება. ეს დაუსახელებელი დაბრკოლებები კირკეა, რომელთანაც ოდისევსმა 3 წელი გაატარა, კალიფსო, ვისთანაც ოდისევსმა შვიდი წელი დაჰყო და ნავსიკაა.

გაცილებით უფრო საინტერესოა, ანტიკური სახეების ინტერპრეტაციის თვალსაზრისით, ლექსი *ფემიოსი*.⁹ ეს ლექსი უფრო

⁸ გავიხსენოთ, რომ არც ითაკაზე დაბრუნებული ოდისევსი უყვება პენელოპეს იმ ქალების შესახებ, ვინც მისი მოგზაურობის დროს შეხვდა.

⁹ პალამასის ეს ლექსი შედგება ორი ნაწილისაგან. ერთი წარმოგვიდგენს ფემიოსის სიტყვებს, ხოლო მეორე თავად პოეტის რეპლიკას ამ სიტყვებზე. თუკი გავითვალისწინებთ ფემიოსის ოდისევსს სიუჟეტში მონაწილეობას, ვნახავთ, რომ პალამასი გვთავაზობს ჰომეროსის ფემიოსისაგან არსებითად განსხვავებულ პერსონაჟს. იგი თითქოს ცდილობს წარმოიდგინოს, თუ რა შეიძლებოდა ეფიქრა ფემიოსს, როდესაც მას ესოდენ უდიერად მიმართავდნენ სასიძოები და როგორ შეეძლო დაეფასებინა ოდისევსს აედის ერთგულება. როგორც ცნობილია, *ოდისევსი* ფემიოსი არსად უპირისპირდება საჯაროდ სასიძოებს, ოდისევსი კი არ მოიხმობს აედს თავისთან, როგორც ეს პალამასთან არის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ტელემაქოსის თხოვნით დაინდობს მას. ყურადღებას იპყრობს ის, რომ ფემიოსის სიტყვებში სასიძოების მიმართ არა მარტო უკმაყოფილება არის გამოთქმული ("ვიდაც დმერთი გავაჯავრე, რადაც ცოდვა ჩავივინე, / აქ რომ მოვხვდი თქვენთან ერთად... / და ჩემი კითარის ჰანგი / თქვენს ყმუილს უერთდება, მგლებო"), არამედ მუქარაც კი ("დაბრუნდება შურისმაძიებელი ქმარი. და მოზიდავს ისარს / და უმოწყალოდ ფრინველებს მისცემს თქვენს თავს"). ჰომეროსის ფემიოსისგან განსხვავებით პალამასის გმირს არ ეშინია სასიძოების და ის არ ემორჩილება მათ, ვისაც იგი მხოლოდ "გასართობად" სჭირდებათ: "ინდოდით მორჩილი მონა / თქვენი გართობისათვის?... / არ მეშინია თქვენი სიყალბის". რითი შეიძლება ავხსნათ პალამასთან ფემიოსის სახის ამგვარი მეტამორფოზა? აქ შეიძლებოდა მხოლოდ იმ ვარაუდის წამოყენება, რომ პალამასი

მეტად ფემიოსისა და სასიძოების ურთიერთობას ეხება – ფემიოსი ნანობს, რომ ის მოხვდა "მგლების" გარემოცვაში, რომ მასში "მოქეიფენი" მხოლოდ გამრთობს ხედავენ, რომ ადვირახსნილი ხალხი ამდენის უფლებას აძლევს თავს მხოლოდ იმიტომ, რომ "მეფე არ არის და ცარიელია სასახლე", თუმცა ლექსის მეორე ნაწილში შემოდის პენელოპე: მიუხედავად ამისა, სასახლეში სხვა სულიც ტრიალებს, რადგან "ყველა კუნჭული სავსეა პენელოპით", პენელოპე ღმერთების შეწევნით თავს იცავს მათი [სასიძოების] ხელყოფისგან იმით, რომ "დღე და ღამე იბრძვის, ქსოვს და ქსოვს", და ბოლოს და ბოლოს დაბრუნებული ქმარი შურს იძიებს თითოეულზე.

პალამასის დამოკიდებულება ანტიკური პერსონაჟებისადმი, ზოგადად, მსგავსია – იგი არ ცდილობს, შეცვალოს მათი პირველსახე, მასთან ვერ ნახავ ანტიკური პერსონაჟების გამარჯებას, გაგროტესკებას, ან მათ უარყოფით კონტექსტში წარმოჩენას. პირიქით, ზოგჯერ არც თუ ისე გამორჩეულ პერსონაჟს უფრო სიმპატიურად აქცევს (მაგალითისთვის იხ. სქოლიო 8). შესაბამისად, ოდისევსიც და პენელოპეც, ბერძნული ლიტერატურის მთავარი და საყვარელი პერსონაჟები, მხოლოდ ნათელ ფერებში წარმოგვიდგინა.¹⁰ ცხადია, არც ქალის ფუნქციის და მნიშვნელობის ხაზგასმას ცდილობს პალამასი პენელოპესადმი ლექსების მიძღვნიტ – მისთვის პენელოპე ერთგული ცოლის, დიასახლისის, კარგი დედის მოღელია და არავითარ შემთხვევაში ქალის, რომელიც ახერხებს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, თავად განაგოს საკუთარი ცხოვრება. ეს ეპოქა ჯერ არ დამდგარა.

ექომაგება პოეტს, რომლის ღირსება ხელჰყვეს უღირსმა აღმიანებმა (Παλαμάς 1963, 188).

¹⁰ პალამასთან ანტიკური ტრადიციის შემოქმედებით ათვისებაზე იხ: შამანიდი 2013, 90-119.

და რადგან იმ ეპოქაში ვართ, როდესაც ქალის როლი ჯერ კიდევ მეორეხარისხოვანია, პენელოპეც იმ ლექსებში უნდა ვეძებოთ, რომლებიც ოდისევსს ეძღვნება.

ალექსანდრიელი პოეტი კონსტანტინოს კავაფისი რამდენიმე ლექსს უძღვნის ოდისეას თემას, მათ შორის – *მეორე ოდისეა* (1894)¹¹ და *ითაკა* (1911)¹². საინტერესოა, რომ თუკი პირველ ლექსში აღწერილია ოდისევსის ითაკით „შემოზღუდულობა“ და სურვილი ახალი თავგადასავლის დაწყებისა (ხაზი, რომელიც მომდევნო ეპოქებში ერთერთი ყველაზე უფრო პოპულარული იქნება ოდისევსთან დაკავშირებით), მეორეში პირიქით, ერთგავრი მინიშნებაა, რომ შესაძლოა, მოგზაურობის სასრული წერტილი/ითაკა არ იყოს ისეთი, როგორსაც მოელი, მაგრამ: „ახლა მას [ითაკას] არაფერი გააჩნია. და თუ დატაკი ჰპოვო იგი, არ გეგონოს, თითქოს დაგცინა. რადგან ის ბრძენი, შენ რომ იქეცი – უამრავი გამოცდილებით, უკვე თავადაც მიხვდებოდი, ითაკები რასაც ნიშნავენ“.¹³ ლექსში *მეორე ოდისეა* პენელოპე მათ რიცხვშია, ვისაც, წესით, ოდისევსი შინ უნდა დაეკავებინა, თუმცა ამოდ: „და ტელემაქეს სიყვარულიც და ერთგულებაც პენელოპესი და მამამისის სიბერეც და თავისი ძველი მეგობრებიც და თავისი ხალხის თავგანწირვაც და მშვიდობაც და საკუთარ სახლში სულის მოთქმაც მობეზრდა და ადგა, წავიდა“.¹⁴ ანუ, ლექსი საერთოდ არ ეძღვნება პენელოპეს. პირიქით, ქალის როლი (ისევე, როგორც ოჯახის სხვა წევრებისა) ოდისევსის ცხოვრებაში დაკნინებულია, იგი არც თუ ისე მნიშვნელოვანი ყოფილა. აქ შევნიშნავთ, რომ პენელოპეს შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინი *παιστή* და არა *περίφραση*, როგორც ეს ჰომეროსთანაა. სავარაუდოდ, კავაფისს არა პენელოპეს გონიერებაზე

¹¹ კავაფისი 2021, ტ. 2, 71-73.

¹² კავაფისი 2021, ტ. 1, 91-93.

¹³ თარგმანი თათია მთვარელიძისა. თარგმანი გამოქვეყნებული არ არის.

¹⁴ თარგმანი თათია მთვარელიძისა. თარგმანი გამოქვეყნებული არ არის.

უნდოდა ხაზის გასმა, არამედ მის ერთგულებაზე. თუმცა, შესაძლოა, ეს ტერმინი ჰომეროსის იმდროინდელი თარგმანების¹⁵ გავლენით მოხვდა კავაფისის ლექსში ან, უბრალოდ მან ის კლიშე გამოიყენა, რომელიც ამ ქალი პერსონაჟის შემთხვევაში ყველაზე ხშირად გვხვდება.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ბერძნული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გამორჩეული, ნობელიანტი პოეტის, გეორგოს სეფერისის მთელი შემოქმედების „პროტაგონისტი“ – თუ შეიძლება ასე ითქვას, ოდისევსია, მას, ფაქტობრივად, საერთოდ არ აინტერესებს პენელოპე. მართალია, მისი შემოქმედების ერთ-ერთი მთავარი ხაზი სამშობლოში/ითაკაში დაბრუნების პათოსს ატარებს, არსადაა ნახსენები პენელოპეს განცდები. აქ ძირითადი ხაზი ოდისევსისა და მისი მეგობრების ვერდაბრუნებაა, ოდისევსის გზა, რომელიც ვერა და ვერ დასრულდა სამშობლოში დაბრუნებით.¹⁶ ამ მოსაზრებას (პენელოპეს უგულვებელყოფას) ამყარებს ერთი ლექსი, რომელიც ოდისევსს ეძღვნება და რომელშიც საკმაოდ ბევრი დეტალია იმ დაბრკოლებებიდან მოყვანილი, რომელიც ოდისევსს გზად შეხვდა. ლექსში *მინაწერი უცხო სტრიქონზე* (1931)¹⁷ პალამასის მსგავსად, სეფერისიც არ ახსენებს იმ ქალებს,¹⁸ ვისთანაც ოდისევსმა შინდასაბრუნებელი ათწლიანი მოგზაურობის დიდი ნაწილი გაატარა, მაგრამ პალამასისგან განსხვავებით, სეფერისის ოდისევსისთვის პენელოპეზე უფრო მნიშვნელოვანი კერიდან ამოსული კვამლი და მოხუცებული ძალი აღმოჩნდა: „და აი, ისევ ოდისევსის მოდის აჩრდილი, მლაშე ზღვასთან ჭილილისაგან სისხლჩამდგარი თვალებით კვლავ მიმზერს ამაყად. იმ თვალებშივე ანთებია შლეგი წადილი,

¹⁵ იხ. სქოლიო 2.

¹⁶ შამანიდი 2009, 123-216.

¹⁷ Σεφέρης 1998. ბერძენი ავტორების შემთხვევაში, როდესაც გვერდი მითითებული არ არის, ვსარგებლობ ბმულით <https://www.greek-language.gr>

¹⁸ მის სხვა ლექსებში ვხვდებით ოდისევსის სხვა ქალებს. განსაკუთრებით ხშირად კირკეს.

კვლავ იხილოს კვამლი, რომელიც მისი სახლის სითბოს ამოსდის, ძაღლი, რომელიც მის მოლოდინში შეაბერდა უზოს ალაცაფს“. ¹⁹ ცხადია, შესაძლებელია, მკითხველმა „სახლის სითბოში“ სწორედ პენელოპეს მონატრება ამოიკითხოს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – პენელოპე ნახსენები არ არის. ²⁰

შეიძლება ითქვას, რომ პირველი ბერძენი მწერალი, რომელმაც ეჭვი შეიტანა პენელოპეს ერთგულებაში ნიკოს კაზანდაკისია. ²¹ სავარაუდოდ მასზე გავლენა იქონია პენელოპეს ევროპულმა ინტერპრეტაციებმა. ²² პიესა „ოდისევსი“, რომელიც კაზანდაკისმა 1915 წლისთვის დაასრულა, გვიყვება ოდისევსის ამბებს მას შემდეგ, რაც იგი ითაკაში დაბრუნდა, თუმცა ის, რაც დახვდა მნიშვნელოვნად აცდენილი იყო მისი მოლოდინისგან. რაც შეეხება პენელოპეს, ოდისევსმა მას სწორედ მაშინ „მოუსწრო“, როდესაც ის გათხოვებას აპირებდა, თავისი ნაბიჯის გასამართლებლად კი ის ფიცი მოჰყავდა, რომელიც ტროაში გამგზავრების წინ თავად ოდისევსმა დაადებინა: „ბევრი ჩვენგანი დაიღუპება, ცოლო, ბევრი ვეღარ დაბრუნდება სამშობლოში... სახლს კარგად მოუარე, ჩემ მშობლებს ღირსეული სიბერე ჰქონდეთ... და როდესაც ჩვენ შვილს პირველი წვერი ამოუვა, მიატოვე ჩემი

¹⁹ „მინაწერი უცხო სტრიქონზე“ (1931), თარგმანი თათია მთვარელიძისა. თარგმანი გამოქვეყნებული არ არის.

²⁰ არ ვიცი, რამდენად არის შესაძლებელი ამ პარალელის გაკეთება, მაგრამ როდესაც არისტოტელე თავის *პოეტიკაში* ოდისევს მინაარსზე საუბრობს, არსად ახსენებს პენელოპეს (არც სხვა ქალებს): „ასე მაგალითად, „ოდისევს“ მთელი მინაარსი შეიძლება სულ რამდენიმე ფრაზით გადმოვცეთ: გმირი წლების განმავლობაში დაეხეტება ხმელსა თუ ზღვაზე. მას სდევნის პოსეიდონი. ის მარტოა. ამასობაში სასიძოები მთელ მის ავლა-დიდებას ანიავებენ და ბოროტს იზრახავენ მისი ძის მიმართ. ხანგრძლივი ტანჯვა-წამების შემდეგ ის შინ ბრუნდება, თავის ვინაობას უმედავენებს ზოგიერთ შინაურს და თავს ესხმის სასიძოებს, რომლებსაც მუსრს გაავლებს, თვითონ კი გადარჩება. ამით ამოიწურება პოემის მთელი მინაარსი. დანარჩენი კი ეპიზოდებია“ (Arist. *Poet.* 1455b.17-23; არისტოტელე 2009, 130-131).

²¹ Καζαντζაკი 1964.

²² კაზანდაკისის შემოქმედების მკვლევარის, პრეველაკისის მიხედვით პოეტი ჰაუპტმანის *Der Bogen des Odysseus* გავლენის ქვეშ წერდა თავის ნაწარმოებს, იხ: Πρεβελάκι 1958, 97.

სახლი და აირჩიე ქმრად ვინც გინდა“. პენელოპე თვლის, რომ ახლა სწორედ ის დროა, რომ სასიძოებიდან ერთ-ერთი აირჩიოს „სამეფო საწოლის“ გასაზიარებლად, თუმცა შემდეგ მოქმედება ვითარდება როგორც *ოდისეაში*: მშვილდს ოდისევსი მოზიდავს და ცოლსაც დაიბრუნებს.

ეს ხაზი – პენელოპეს და ოდისევსის კვლავ შეერთების „ტიკვილი“ ბევრგან გვხვდება.

სასოწარკვეთილი და განხიბლულია პენელოპე იანის რიცოსის ლექსში *სასოწარკვეთილი პენელიპე* (1968).²³ უკან დაბრუნებული ოდისევსის შემხედვარე პენელოპეს გული უწუხდება – ამ კაცს ელოდა ოცი წელი? ამის ლოდინში გალია ცხოვრება? სავარძელში ჩაეშვება და მკვდარი სასიძოების მიმოფანტულ სხეულებს დანანებით გადახედავს, „როგორც საკუთარ მკვდარ ვნებებს“. პალამასისგან განსხვავებით, რიცოსისთვის დამახასიათებელია ანტიკური პერსონაჟების უარყოფით კონტექსტში წარმოჩენა, უფრო სწორედ, მათი იმ მომენტში ჩვენება, როდესაც ისინი ყველაზე უფრო მოწყვლადები არიან – რიცოსთან ანტიკური პერსონაჟები ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ყოველგვარი გმირის შარავანდელის გარეშე, თავისი სისუსტეებით. პენელოპეც ჩვეულებრივი ქალია, რომელსაც ადარ მოსწონს თავისი პარტნიორი და მისი პროტოტიპისგან განსხვავებით, არ ხარობს მისი დაბრუნებით.²⁴

ანტიკური ტრადიციის საინტერესო რეცეფციას ვხვდებით ბერძენი დრამატურგის იაკოვოს კაბანელისის შემოქმედებაში.²⁵ ოდისევსის პერიპეტიებს კაბანელისის ორი პიესა ეძღვნება: *სატირული კომედია ოდისევსო, დაბრუნდი სახლში!* (1966)²⁶ და

²³ Πίτσος 1972.

²⁴ Shamanidi 2013.

²⁵ ანტიკურობის რეცეფციისთვის კაბანელისთან იხ. შამანიდი 2019.

²⁶ Καμπανέλλης 1998. 165-243.

უკანასკნელი მოქმედება,²⁷ რომელიც 30 წლის ინტერვალით შეიქმნა (1997).²⁸ ორივე პიესაში პენელოპეს ოდისევსის დანახვაც აღარ უნდა, ის კარგად გრძნობს თავს ქმრის გარეშე და მისი უცარი გამოჩენა მხოლოდ პრობლემებს უქმნის როგორც თავად ქალს, ასე მთელ ითაკასაც – კუნძულის მმართველობას არ აწყობს დაბეჩავებული ოდისევსის გამოჩენა, იმიტომ რომ ის ძალიან შორს არის იმ ლეგენდისგან, რომელიც მის, როგორც გმირის ირგვლივ შეუქმნია ხალხს. პიესაში უკანასკნელი მოქმედება პენელოპე სასიყვარულო ურთიერთობებზე ადვილად დამყოლი ქალი ჩანს, რასაც ტელემაქოსის რეპლიკებიდან ვხვდებით: დედა, გონს მოეგე. დედა, წესიერად მოიქეცი და ა.შ.

ეპოქის ცვლასთან ერთად შეიცვალა დამოკიდებულება პენელოპესადმიც – ამაში, მართალია დაგვიანებით, მაგრამ ქალთა ემანსიპაციის დაწყებამ და ფემინიზმის მომძლავრებამაც შეიტანა თავისი წვლილი. აღსანიშნია ისიც, რომ თანამედროვე ბერძენი ავტორებიდან, რომლებიც პენელოპეზე წერენ, დიდი წილი ქალ მწერლებზე მოდის – ზოგი მათგანი „იცავს“ პენელოპეს, ზოგი მას ძლიერ, დამოუკიდებელ ქალად ხედავს, ზოგიც საერთოდ ართმევს ერთგულის შარავანდედს, ყველაზე ხშირად კი პენელოპეს ხელსაქმე ლექსის წერასთან არის გაიგივებული. აქაც მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ ყურადღებას.

პენელოპეს „დამცველთაგან“ შეიძლება დავასახელოთ ჰოეტი დორა მოაცუ-ვარნალი. თავის ლექსში *პენელოპე* (1976)²⁹ იგი ახსენებს ანტიკურობაში არსებულ და მისი ეპოქის შემოქმედების მიერ ატაცებულ არასახარბიელო ინფორმაციას პენელოპეს შესახებ: „შენი ერთგულების შემურდა ზოგს; მძიმე ამბები დაი-

²⁷ Καμπανέλλης 1998. 165-243.

²⁸ ამ ორ პიესას ეძღვება სტატია: ს. შამანიდი, „ოდისევსის სახე ი. კაბანელისის შემოქმედებაში“.

წერა შენზე. მახინჯი პანი, თხისწვერა, შენ ნაბიჭვრად გაასადეს. მაგრამ შენ, პენელოპე, სულ დარჩები ერთგული საკუთარი ქმრისა, ოდისევსისა“.

კატერინა ანგელაკი-რუკმა, რომელიც სიცოცხლეშივე დიდი პოპულარობით სარგებლობდა მკითხველში, „ბერძნული პოეზიის პენელოპედ“ წოდებულმა სხვადასხვა წლებში სამი ლექსი მიუძღვნა პენელოპეს (ერთ კრებულს პენელოპეს სახელიც კი დაარქვა): *სასიძობი* (1984),³⁰ *სხვა პენელოპე* (1995),³¹ *ამბობს პენელოპე* (1977).³² პოეტი საკუთარ თავს აიგივებს პენელოპესთან, ოდონდ კი არ ქსოვს, არამედ წერს: „არ ვქარგავდი, არ ვქსოვდი, წერას ვიწყებდი და ვშლიდი“. მთავარი თემა არა კონკრეტული ოდისევსის მოლოდინია, არამედ სიმარტოვე, რომელიც პოეტმა/პენელოპემ აირჩია საკუთარი ცხოვრების საზრისად – „არყოფნა ჩემი ცხოვრების საზრისისა“, მარტოობა გაუსაძლისია, მაგრამ შვება პოეტისთვის მის შემოქმედებას მოაქვს. ერთი სიტყვით რომ შევაჯამოთ, პენელოპე-ოდისევსის ტანდემს აქ არა ქალის/ცოლის მიერ კაცის/ქმრის მოლოდინის დატვირთვა აქვს, არამედ პენელოპე თავად არის მარტოობის და მოლოდინის სიმბოლო.

ანგელა კასტრინაკი თავის ლექსში *ერთგულების პირობა* (2002)³³ ოდისევსს მოხუც პროფესორად წარმოგვიდგენს, რომელიც ლექციების წასაკითხად მიდის ოცი კვირით (და არა ოცი წლით, როგორც ოდისევსი) და პენელოპესთან ამ დროის განმავლობაში მიმოწერა აქვს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. აქ

საინტერესო ის არის, რომ ვიდრე ოდისევსი წასულია, პენელოპე წყვეტს ურთიერთობას ცოლ-ქმრის ცხოვრებაში არსებულ ადიულტერთან და მხოლოდ, როდესაც ოდისევსის უკან დაბრუნების დრო მოდის, მაშინ გააბამს ურთიერთობას სხვა კაცთან: „როდესაც ოდისევსი ოცი კვირით საზღვარგარეთ წავიდა, სხვადასხვა უნივერსიტეტში ლექციების წასაკითხად, პენელოპე სახლში ჩაიკეტა. არც კინოში დადიოდა და აღარც ტავერნებში. თ.-სთან მიმოწერაც შეწყვიტა. ამ უკანასკნელს კი, მისი ლოგიკიდან გამომდინარე, ეგონა, რომ უფრო ხშირად შეხვდებოდნენ ახლა ერთმანეთს“; „ასე დარჩა ერთგული მთელი ოცი კვირა. ოცი კვირა მხოლოდ ოდისევსზე ფიქრობდა“; „[ოდისევსის] დაბრუნებამდე სამი დღით ადრე პენელოპემ გაიცნო ტ. და ვიდრე ოდისევსი ჩემოდანში მოგზაურობის ნაალაფარის ჩატენვას ცდილობდა, (ძირითადად წიგნების), ის [პენელოპე] მიაძინებდა ხოლმე პატარა მახოს (ტელემაქოსის შემოკლებული ფორმა, ს.შ.) და გარეთ გადიოდა. გაშლილი მკლავებით დახვდა შორსწასულს, ტელეფონით კი ტ.-ს პაემანი დაუნიშნა. ჩუმად იკონტაქტებდნენ და როდესაც შესაძლებლობა ექნებოდათ, შეხვდებოდნენ“; „ჰო, როდესაც ოდისევსი დაბრუნდა, პენელოპემ მეგობარი გაიჩინა. არ არის მისი ბრალი: არ შეეძლო ცხოვრება ისე, თუ ვინმე მისგან შორს არ იყო“.

კულა ადალოდლუ 2013 წელს აქვეყნებს ორ მცირე ზომის ლექსს: *ვწერ...* და *ოდისევს, Dear*.³⁴ პირველში პოეტის მუდმივი შემოქმედებითი პროცესი პენელოპეს დაუსრულებელ ხელსაქმესთანაა შედარებული, მეორეში კი ოდისევსს აფრთხილებს, რომ მალე დაასრულებს ქარგვას: „იმედი მაქვს, კარგად ერთობი ძმაკაცებთან ერთად. უნდა გითხრა, მართალია, არ დამხმარებიხარ, მაგრამ ამოვხსენი ის მათემატიკური ფორმულები, ამდენ ხანს

რომ მაწვალა. ალბათ, მალე დავასრულებ ჩემს ნაქარგს. იმის თქმა მინდა, რომ უშენოდაც კარგად გავართვი თავი!“ თანამედროვე პენელოპეს აღარ სჭირდება ოდისევსი, ის თავს თავად ართმევს დაბრკოლებებს. აქ ერთგვარი ირონიული ოპოზიციაც იჩენს თავს: პენელოპე მათემატიკურ ფორმულებს ხსნის, მაშინ როდესაც ოდისევსი ძმაცაცებთან ერთად ქეიფობს. ჭკვიანი, დამოუკიდებელი ქალი vs. მოქეიფე, უპასუხისმგებლო კაცი.

ლენა პაპას რამდენიმე ლექსი აქვს დაწერილი ოდისეას თემაზე (*ოდისევსი* (1996)³⁵, *ოდისევსი* (2001),³⁶ *პენელოპე* (2001)³⁷) – ყველა ლექსში მთავარი თემა ოდისევსის დაბრუნებასთან დაკავშირებული მოლოდინების გაცამტვერებაა. პირველი *ოდისევსი* კავაფისის *ითაკას* ეხმიანება, ოღონდ ეს მოგზაურობა ოდისევსისთვის შემეცნება კი არ იყო და ამ მოგზაურობით კი არ გამდიდრდა, როგორც ეს კავაფისის ოდისევსის შემთხვევაშია, არამედ, პირიქით, ყველგან თავისი ნაწილი დატოვა და „გადარბეებული“ დაუბრუნდა პენელოპეს. ამდენი ლოდინის, თმენის, იმედის შემდეგ პენელოპე უნდა დასჯერდეს იმას, რაც დაუბრუნდა და მეტიც, მისი ხელახლა შეყვარებაც უნდა შეძლოს. მეორე *ოდისევსი* პირველ პირშია დაწერილი და თავად ოდისევსია მთხრობელი, ოდისევსი, რომელმაც ყველაფერი ნახა, ყველაფერი გამოსცადა, ყველაფერი უკან მოიტოვა, მოგზაურობის საშიშროებაც, ქალებიც, დაბრკოლებებიც და ახლა უკან ბრუნდება პენელოპესთან, და ეს მისი ყველაზე დიდი „გმირობაა“. მესამე ლექსი კი, *პენელოპე*, ერთგვარი პასუხია ოდისევსის დაბრუნებაზე – პენელოპე, რომელსაც არ აურჩევია საკუთარი ბედი, ლოდინში გაეტარებინა ცხოვრება, არ იცის, მზად არის თუ

არა გააგრძელოს ურთიერთობა კაცთან, რომელსაც სხვა ქალების აჩრდილები მოყვება – მარად ახალგაზრდების და ლამაზების, რომელთა სახელებს მის მკლავებში მძინარე წამოიყვრებს ხოლმე. რეზიუმე რომ გავაკეთოთ: ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ – შეუძლებელია ის, რაც 20 წლის წინ დატოვე, იგივე იყოს ახლაც, შეუძლებელია 20 წლის წინანდელი გრძნობები ისეთივე მდაფრი და ვნებიანი იყოს 20 წლის გასვლის შემდეგაც.

ქალი პოეტებისგან განსხვავებულ აქცენტს აკეთებს ღიორდის მანუსაკისიც თავის ლექსში *ჰენელოპე* (2005).³⁸ მასთან პენელოპე, მიუხედავად იმისა, რომ ერთგული რჩება საკუთარი ქმრისა და სანიმუშო დედაც არის, მას მოსწონს მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდა კაცები, რომელთაც, მართალია, იმედს აძლევს, მაგრამ მალევე გააწბილებს ხოლმე და საზოგადოების თვალში შეუბღალავ სახელს დაიმკვიდრებს. განა რა არის იმაზე მნიშვნელოვანი, ვიდრე სიცოცხლეშივე გახლე სიმბოლო (ამ შემთხვევაში ერთგულებისა) – სარკაზმით დასძენს პოეტი. პენელოპემ იცის, რომ ოდისევსის დაბრუნებისთანავე მისი ცხოვრება მოსაწყენი გახდება და ის რუტინაში გადაეშვება: „როდესაც ოდისევსი დაბრუნდება, ის სხვა ცოლებს დაემსგავსება. და, რასაკვირველია, მოიწყენს ერთფეროვან მიღებებზე... მეფე ქმრის გვერდით“.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ნაწარმოებებისა, სადაც პენელოპეს სახის ინტერპრეტაციას ვხვდებით. ამ და თანამედროვე ბერძნული ლიტერატურის სხვა ტექსტებზე დაყრდნობით შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება:

ა) ევროპული ლიტერატურისგან განსხვავებით, სადაც საკმაოდ ადრე დაიწყო პენელოპეს სახის „დესაკრალიზაცია“, ახალ ბერძნულ ლიტერატურაში მის მიმართ დამოკიდებულება პირველ ეტაპზე არ სცდებოდა ჰომეროსისეული პენელოპეს ზედაპი-

რულ ინტერპრეტაციას და მთავარი ხაზი აქ ქალის ერთგულების ხაზგასმა იყო;

ბ) პენელოპე ახალ ბერძნულ ლიტერატურაში გვიან ხდება საინტერესო, როგორც დამოუკიდებელი პერსონაჟი და საკმაო ხანს ის ოდისევსის დაბრუნებისთვის საჭირო „ატრიბუტად“ გამოიყენება – ერთ-ერთ იმ საგანთაგანი/სუბიექტთაგანია (და არა უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე „სახლიდან ამოსული კვამლი“ ან „ძაღლი“), რომლის გამოც ოდისევსი, მართალია, შინ ბრუნდება, მაგრამ მალევე ისევ მიდის, რადგან არაფერია მისთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე გზა/მოგზაურობა/შემეცნება. თუკი ოდისევსი ერთგვარი „ინტელექტუალური“ გმირია, რომლისთვისაც მთელი მისი ცხოვრება შემეცნებაა, შესაბამისად, ცოდნის მიღება და სიახლეებთან ზიარება, პენელოპე მხოლოდ საგანია, რომელსაც იგი სახლში ტოვებს.

გ) უკანასკნელი ტექსტები, რომელთა ავტორები მეტწილად ქალები არიან, უფრო თამამ პენელოპეს წარმოგვიდგენენ – ქალს, რომელიც, მართალია, ქმარს ელოდება, მაგრამ სურვილის შემთხვევაში შეუძლია სულაც არ დარჩეს მისი ერთგული, ხოლო ქმრის დაბრუნების შემდეგ რწმუნდება, რომ ამ კაცის ლოდინი ნამდვილად არ ღირდა. ამ ტექსტებში ოდისევსი ძალიან შორს არის ჰომეროსის ოდისევსისგან.

ცხადია, ეს პროცესი არ დასრულებულა და მომავალშიც ბევრი ბერძენი შემოქმედი მიუძღვნის ქმნილებებს პენელოპეს. არ ვიცი, როგორი იქნება მისდამი დამოკიდებულება მომდევნო ეპოქებში. შესაძლებელია, პენელოპე თავად გახდეს ოდისევსი – თავად წავიდეს სამოგზაუროდ, გაითქვას სახელი, როგორც ჭკვიანმა ადამიანმა, თავად გაიჩინოს საყვარლები და ბოლოს, გამოცდილებებისგან გადაღლილი, ოდისევსს დაუბრუნდეს – თანამედროვე ეპოქა ამგვარი ქალი პერსონაჟის შექმნის შესაძლებლობას თამამად იძლევა, თუმცა ეს უკვე მომავალი ფილოლოგების კვლევის საგანი იქნება.

ბიბლიოგრაფია:

- Αγγελάκη-Ρουκ, Κατερίνα. 1995. *Ωραία έρημος η σάρκα*. Αθήνα.
- Αγγελάκη-Ρουκ, Κατερίνα. 1977. *Τα σκόρπια χαρτιά της Πηνελόπης*. Θεσσαλονίκη.
- Αγγελάκη-Ρουκ, Κατερίνα. 1984. *Οι μνηστήρες*. Αθήνα.
- Αδαλόγλου, Αδαλόγλου. 2013. *Οδυσσέας, τρόπον τινά*. Θεσσαλονίκη.
- არისტოტელე. 2009. *ჰოტიკა*. თარგმნა ბაჩანა ბრეგვაძემ. *ანტიკური ლიტერატურის ანთოლოგია, ელინური ხანის პროზა, ელინიზმისა და რომაული ბატონობის პერიოდის ბერძნული ლიტერატურა (ძვ.წ. IV ს. – ახ. წ. V ს.)*. რედ. ნანა ტონია, 116-142. თბილისი: ლოგოსი.
- Βάρναλη, Δώρα Μοάτσου . 1976. *Ποιήματα. Σονέτα*. Αθήνα.
- Butler, Samuel. 1987. *The Authoress of the Odyssey*.
- კავაფისი, კონსტანტინოს. 2021. *გულის ეპოსი, აღიარებული ლექსები*, ტ. 1, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კაკაშვილმა. თბილისი, 91-93.
- კავაფისი, კონსტანტინოს. 2021. *გულის ეპოსი, გადამალული ლექსები*, ტ. 2, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მ. კაკაშვილმა. თბილისი, 71-73
- Καστρινάκη, Αγγέλα. 2003. «Η Πηνελόπη στον 20ό αιώνα». στο *Η λογοτεχνία, μια σκανταλιά, μια δια-φυγή ελευθερίας*. Πόλις, Αθήνα.
- Καστρινάκη, Αγγέλα. 2002. *Εκδοχές της Πηνελόπης*. Αθήνα.
- Καζαντζάκης, Νίκος. 1964. *Θέατρο, Α, Τραγωδίες με αρχαία θέματα*. Αθήνα.
- Καμπανέλλης, Ιάκωβος. 1998. *Θέατρο*. τ. Ζ. Αθήνα.
- LJSJ, A Greek-English Lexicon. 1961. compiled by H.G. Liddel and R. Scott. Oxford.
- Μανουσάκης, Γιώργης. 2005. *Σπασμένα αγάλματα και πικροβότανα*. Αθήνα.
- Παλαμάς, Κώστης. 1963. *Άπαντα*. τ. Γ'. Αθήνα.

- Παππά, Λένα. 1997. *Τα ποιήματα*. Β' τόμος. Αθήνα.
- Παππά, Λένα. 2001. *Τα ποιήματα*. Γ' τόμος. Αθήνα.
- Πρεβελάκης, Παντέλης. 1958. *Ο ποιητής και το ποίημα της Οδύσσειας*. Αθήνα.
- Ρίτσος, Γιάννης. 1972. *Πέτρες. Επαναλήψεις. Κιγκλίδωμα*. Αθήνα.
- Σεφέρης, Γιώργος. 1998. *Ποιήματα*. Αθήνα.
- Shamanidi, Sophie. 2013. „Male Characters of "The Fourth Dimension" by Yannis Ritsos“. *Phasis* 15-16: 212-219.
- Wilde, Oscar. 1876. *The Women of Homer*.
- Χείλαρης, Δημήτρης. 2022. «Μεταπλάσεις του μύθου της Πηνελόπης στη νεοελληνική μεταπολεμική ποίηση». στο *Σύγκριση της Ελληνικής με τις ξένες λογοτεχνίες και τις καλές τέχνες*, 31. Αθήνα.
<https://www.greek-language.gr>
- შამანიდი, სოფიო. 2009. *კლასიკური ტრადიცია ახალ ბერძნულ მწერლობაში და გიორგოს სეფერისი*. თბილისი.
- შამანიდი, სოფიო. 2013. *კლასიკური ტრადიცია ახალ ბერძნულ მწერლობაში*. თბილისი.
- შამანიდი, სოფიო. 2019. „ანტიკური დრამა თანამედროვე ბერძნულ დრამატურგიაში და იაკოვოს კაბანელისი“. *ნეოგრეცისტისტიკა* 3. 68-77. თბილისი.
- შამანიდი, სოფიო. 2023. „ოდისევსის სახე კაბანელისის შემოქმედებაში“. *ნეოგრეცისტისტიკა* 4. თბილისი, იბეჭდება.
- ცანავა, რუსუდან. 2011. „ოდისეას“ სახეები და ნიღბები. თბილისი.

Sophie Shamanidi

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Penelope in Modern Greek Literature

Key words: ancient literature, Odyssey, perception of ancient tradition in modern literature, Penelope

Penelope is undoubtedly one of the most virtuous and beloved characters among Homer's heroes – a woman who has transformed into a symbol of a faithful wife and an exemplary mother; A woman who faithfully waited for her husband for 20 years; A woman who, in fact, raised her child all alone; A woman who kept her household sacred. However, we encountered controversial interpretations of Penelope's image since ancient times: ancient sources sometimes refer to Penelope as Pan's mother or as a woman being in intimate relationships with all of the 112 suitors. Various explanations are attributed to why Odysseus decides to set up a test for his wife, the jealousy of Telemachus or the interpretation of Penelope's dream. On the other hand, Homer has never claimed that Penelope is faithful to her husband. Homer most often characterizes Penelope with the epithet "περίφρων," which means "clever" or "wise". Penelope is referred to as "faithful" – "πιστή" only once in the whole *Odyssey* and that too by the embittered (and already dead) Agamemnon.

The first and most radical interpretation of Penelope's character in modern literature probably belongs to James Joyce ("*Ulysses*" 1922) – his Molly Bloom is the complete antithesis of the faithful (or wise) Penelope. Joyce is a foundation for this interpretation of Penelope in Western literature. Joyce's interpretation of Penelope became very attractive to writers. Obviously, this metamorphosis was, first of all, an echo of the era.

Modern Greek writers proved to be much more sensitive towards Penelope compared to their European counterparts; however, each subsequent interpretation of Penelope's image is bolder and much distanced from her initial prototype.

The article reviews the interpretations of Penelope's image in modern Greek literature, trying to understand what most authors focus on in different eras and why is Penelope's image addressed mainly by female authors.